ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ოქტომბრის რიგგარეშე სხდომაზე

განხილულ საკითხთა ნუსხა

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 05 ოქტომბრის №114-1142227826 მომართვა-,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N09 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2.,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 6 ოქტომბრის №114-11422278115 მომართვა - ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 6 ოქტომბრის N114-1142227859 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ;

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 30 სექტემბრის N114-11422273182 მომართვა-„ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე (ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი");

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N11

ქ.ქობულეთი 11 ოქტომბერი 2022 წელი

სხდომა დაიწყო: 12-00 საათზე

დამთავრდა: 13-00 საათზე

სხდომას უძღვებოდა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ: გურამ აბაშიძე, დავით წულუკიძე, ლაშა ხახუტაიშვილი, ლია შაქარიშვილი, თეა მოწყობილი, ავთანდილ გოგიბერიძე, ედნარ თურმანიძე, დავით პაპუნაიშვილი, იოსებ ჟღენტი, ზურაბ ხინიკაძე, ნატო შამილიშვილი, ალექსანდრე ხიდაშელი, ზაზა თხილაიშვილი, გიზო ხალვაში, ჯეირან წულუკიძე, იამზე ცალქალამანიძე, სოსო ქიზინიძე, გიორგი კარალიძე, ირაკლი ტაკიძე, ედუარდ ქავჯარაძე, ილონა ანანიძე, ლაშა კომახიძე, ლევან მახარაძე, ნათია თხილაიშვილი, გიორგი გოგიტიძე, გელა შაქარიშვილი, ეკატერინე კოჭლამაზაშვილი, მირზა მახარაძე, მერაბ ცინცაბაძე, ჯემალ ბლადაძე, დავით ოქროპირიძე.

სხდომას არ ესწრებოდა: თედო ტაკიძე, მამია ჟორდანია, ირაკლი ქათამაძე, არჩილ ჯაფარიძე, სოლომონ ბაჯელიძე, ია მესხიძე, შოთა გოგიტიძე.

ესწრებოდნენ: აჭარის - TV საზოგადოებრივი მაუწყებელი;

მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები: ლაშა ანანიძე, ფატი ჯინჭარაძე, გიორგი ტაბიძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) - მამუკა ქათამაძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის II რანგის უფროსი საორგანიზაციო და საქმისწარმოების საკითხებში - დავით ჯინჭარაძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ოქტომბრის სხდომის ოქმის შედგენა დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს საქმისწარმოების საკითხებში მანონი ვერულიძეს.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მან სამძიმარი გამოთქვა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ლაშა გოგიაშვილის ტრაგიკულად დაღუმპვის გამო და სთხოვა საკრებულოს წევრებს წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ მისი ხსოვნისთვის. შემდეგ გააცნო დეპუტატებს წარმოდგენილი დღის წესრიგი და დასვა შეკითხვა აქვთ, თუ არა შენიშვნები ან წინადადებები წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით. შენიშვნები და

წინადადებები არ დაფიქსირებულა, საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 05 ოქტომბრის №114-1142227826 მომართვა- ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N09 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი:ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით ვერულიძე)

2.,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 6 ოქტომბრის №114-11422278115 მომართვა - ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული

სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი თეონა გეგიძე)

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 6 ოქტომბრის N114-1142227859 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული

სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი თეონა გეგიძე)

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 30 სექტემბრის N114-11422273182 მომართვა-„ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე (ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი");

(მომხსენებელი: ლაშა ხახუტაიშვილი)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30 წევრი.

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 05 ოქტომბრის №114-1142227826 მომართვა-,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N09 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ დავით ვერულიძემ, მომხსენებელმა განმარტა, რომ 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილში წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილება ითვალისწინებს: 1) გადასახადების ზრდას 2 343 800 ლარით. მათ შორის: ქონების გადასახადის სახეში საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდა 975 000 ლარით, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადის სახეში საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდა 1 368 800 ლარით. 2) წლის დასაწყისისთვის გარდამავალი საბრუნავი სახსრების გამოყენება მცირდება 609 778 ლარით. სულ ადგილობრივი ბიუჯეტი იზრდება 1 734 022 ლარით.

მუნიციპალიტეტის საკრებულო - წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებით ცალკეული საჭიროებიდან გამომდინარე ცვლილება ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ეკონომიკური კლასიფიკაციის სხვადასხვა მუხლებში წლიური დაგეგმილი ხარჯების კორექტირებას, კერძოდ **კლებას ჯამურად 4770 ლარით**. ამავე დროს ეკონომიკური კლასიფიკაციის ცალკეულ მუხლებში **ზრდას თანხით 32 464** ლარით. (იხ.დანართი) კერძოდ, დამატებით დაიგეგმა: 1) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დეკრეტული შვებულების ასანაზღაურებლად დეკრეტის პერიოდისათვის ასანაზღაურებელი ხარჯი მიმდინარე წლის ბოლომდე პერიოდში; 2) დამატებით დაიგეგმა ქვეყნის გარეთ მივლინების ხარჯი; 3) დაგეგმილია ოფისის ხარჯში ნორმატიული აქტების გამოქვეყნების საფასურის ხარჯის ზრდა. ასევე სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შეძენის ხარჯების ზრდაც; 4) საწვავის ფასის ცვლილების გამო და კუთვნილი ავტოტრანსპორტის მიმდინარე შეკეთების ხარჯების გაწევის მიზნით დაგეგემილია ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯის ზრდა; 5) არაფინანსური აქტივის მუხლით დაიგეგმა ერთი ერთეული კონდიციონერის შეძენა. წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებით წლიური დაგეგმილი ბიუჯეტის ზრდა შეადგენს **27 694** ლარს.

მუნიციპალიტეტის მერია -- წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებით ცალკეული საჭიროებიდან გამომდინარე ცვლილება ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მერიაში ეკონომიკური კლასიფიკაციის სხვადასხვა მუხლებში წლიური დაგეგმილი ხარჯების **ზრდას ჯამურად თანხით 166 336** ლარით. **(იხ.დანართი)** კერძოდ, დამატებით დაიგეგმა: 1) საქართველოს კანონის ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" შესაბამისად მოქმედი სახელფასო შკალის ზრდით გამოწვეული ხელფასის მატება ოქტომბრის თვიდან წლის ბოლომდე პერიოდში; (კერძოდ დაიგეგმა მერიაში დასაქმებული 26 ერთეული წამყვანი სპეციალისტების სახელფასო შკალის 0,9 კოეფიციენტიდან 1,1 კოეფიციენტამდე ზრდა) 2) დაიგეგმა შტატგარეშე შრომის ანაზღაურების მუხლით დაქირავებულ თანამშრომელთა რაოდენობის ზრდით გამოწვეული მატება ნოემბრის თვიდან წლის ბოლომდე პერიოდში, რაც დაკავშირებულია დამატებით სამი ერთეული წამყვანი სპეციალისტის დაქირავებასთან მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურში; 3) დაგეგმილია სამივლინებო ხარჯების ზრდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ მივლინების ნაწილში; 4) ოფისის ხარჯში კომუნალური ხარჯებში დამატებით დაიგეგმა მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების დაფინანსებისათვის წლის ბოლომდე საჭირო თანხები; 5) მერიის სხვადასხვა სამსახურებისათვის გაიზარდა ტრანსპორტის გადაადგილებისათვის საჭირო საწვავის შესყიდვისათვის ხარჯი; 6) დაგეგმილია მერიაში დასაქმებული კადრების სწავლება გადამზადებისათვის ბიუჯეტში არსებული ფინანსური რესურსის ზრდაც; 7) არაფინანსური აქტივის მუხლით დაიგეგმა ერთი ერთეული პროექტორის შეძენა.

ცალკეული დაქვემდებარებული დაწესებულებების მიხედვით ცვლილებები შემდეგნაირად განხორციელდა.

საბიუჯეტო ცვლილებით ა(ა)იპ -ის მიერ წარმოდგენილი ცვლილებები მოიცავს კუთვნილ ბიუჯეტებში დღეის მდგომარეობით ეკონომიკური კლასიფიკაციის სხვადასხვა მუხლებს შორის არსებული ეკონომიის (ჯამურად 72 362 ლარის ფარგლებში) გამოყენების საფუძველზე დამატებით ახალი ღონისძიებების დაგეგმვას (ჯამურად 292 394 ლარით). (იხ. დანართი ცვლილებების ცხრილისა და დოკუმენტაციის სახით).

სულ წლიური ბიუჯეტის ჯამური ცვლილება დაქვემდებარებული დაწესებულებების მიმართებაში შეადგენს ზრდას 220 032 ლარის ოდენობით.

ახალი ღონისძიებების დამატებას ცალკეული ა(ა)იპ-ების მიხედვით, თუ განვიხილავთ შემდეგნაირად განისაზღვრა:

- **ა(ა)იპ „ქობულეთის სანდასუფთავება“** - წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებით დამატებით დაგეგმილია საწვავის ფასების ზრდის გამო და კუთვნილი ავტომანქანების მიმდინარე რემონტისათვის 120 000 ლარი, არაფინანსური აქტივის მუხლით კი დამატებით დაიგეგმა 10 000 ლარი - სანდასუფთავების შენობისათვის გამათბობლის შესყიდვისათვის თანმხლები ფასონური ნაწილებით, რადიატორები, გაყვანილობის მილი და სხვა გათბობის სისტემის მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის. ა(ა)იპ-ის მიერ გამოთავისუფლებულია 12 344 ლარის შიდა რესურსი. შესაბამისად წლიური ბიუჯეტის ზრდა შეადგენს 117 656 ლარს.
- **ა(ა)იპ „ქობულეთის მუზეუმი“** - წარმოდგენილი საბიუჯეტიო ცვლილებით დამატებით დაგეგმილია საოფისე ხარჯებში 12 439 ლარის ხარჯი, რომელიც თანახმად დანართისა გათვალისწინებულია: არსებული საოფისე კარადების რესტავრაციისა და დამატებით ორი ახალი კარადის შეძენის ხარჯი, შენობის გარე პერიმეტრზე ერთი კომპლექტი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოწყობის თანხები, სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა საგნებისა და მასალების შესაძენად. დაგეგმილია ზურაბ გორგილაძის სახლ-მუზეუმის შენობის გამრიცხველიანებისათვის საფასურის ხარჯი. არაფინანსური აქტივის მუხლით კი დამატებით დაიგეგმა ერთი ერთეული წყლის გამაგრილებელი/გამაცხელებელი აპარატის შეძენის მიზნით ხარჯები. ასევე ერთი ერთეული პროექტორის შეძენის და ზურაბ გორგილაძის სახლ-მუზეუმის შენობისათვის გაზიფიცირების ხარჯები. წარმოდგენილი ცვლილებისათვის არსებული 5 100 ლარის შიდა რესურსის გამოყენებით წლიური ბიუჯეტის ზრდა შეადგენს 13 964 ლარს.

  რაც შეეხება არსებული დაწესებულების საკუთარი შემოსავლებით განსახორციელებელი ღონისძიებების ცვლილებას, არსებული გეგმა დაკორექტირდა და შესაბამისად წარმოდგენილი ცვლილებით საოფისე ხარჯებიდან 1 200 ლარის ჩამოკლებით არაფინანსური აქტივების მუხლში დაიგეგმა 469 ერთეული ბუკლეტისა და 6 000 ცალი ბილეთის შესყიდვის ხარჯი.

- **ა(ა)იპ „ქობულეთის ბაღების გაერთიანება“** - წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებით ცალკეული საჭიროებიდან გამომდინარე ცვლილება ითვალისწინებს ეკონომიკური კლასიფიკაციის სხვადასხვა მუხლებში წლიური დაგეგმილი ხარჯების კორექტირებას. წარმოდგენილი ცვლილებით დამატებით დაიხარჯება 33 230 ლარი. კერძოდ: 1) შრომის ანაზღაურების მუხლით სოფელ ზენითისა და სოფელ ქობულეთის საბავშვო ბაღისათვის

დამატებითი საგნის მასწავლებლის აყვანა, ხოლო ალამბრის საბავშვო ბაღისათვის ერთი ერთეული დამლაგებლის აყვანა, ასევე დამატებით დაიგეგმა გაერთიანების ადმინისტრაციაში ერთი ერთეული სპეციალისტის - კადრების დარგში (ეიჩარი) აყვანა; 2) შტატგარეშე შრომის ანაზღაურების მუხლით დაიგეგმა ცეცხლფარეშების დაქირავება სულ ორი ერთეული ალამბრის საბავშვო ბაღისათვის; 3) საწვავის შეძენის მიზნით გათვალისწინებულია დამატებით ხარჯები, რაც არსებული ლიმიტის ფარგლებში საწვავის ფასთა ნამეტითაა გამოწვეული; 4) არაფინანსური აქტივის მუხლით დამატებით დაიგეგმა ცხრა ერთეული ხორცსაკეპი მანქანის შეძენა, დაიგეგმა ბაღების სარეგისტრაციო მოსაკრებელის საფასურის ხარჯი, ასევე ალამბრის ბაღისთვის გაზგაყვანილობის გამათბობლის ე.წ. ბოილერის ნაწილების შესყიდვა. არსებული რესურსის 33 230 ლარის გათვალისწინებით წლიური ასიგნება უცვლელია.

- **ა(ა)იპ "ქობულეთის სოფლის წყალი"** - წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებით გათვალისწინებულია ტრანსპორტის ხარჯებში საწვავის შეძენისა და არსებული ტექნიკის ექსპლუატაციის ხარჯების ზრდა 27 000 ლარით. (იხ.დანართი) წარმოდგენილი ცვლილებისათვის ა(ა)იპ-ის მიერ წარმოდგენილია 6 440 ლარის შიდა რესურსი. შესაბამისად წლიური ბიუჯეტის ზრდა შეადგენს 20 560 ლარს.
- **ა(ა)იპ „კომპლექსური სასპორტო სკოლა"** - წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებით დამატებით გათვალისწინებულია 36 940 ლარის ხარჯი. კერძოდ სატენდერო მოსაკრებლის საფასური, სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღების დროს ღონისძიების გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის თანხის დამატება, ამავე დროს დაგეგმილია არაფინანსური აქტივის მუხლით სამი ერთეული ელექტრო გამათბობლის შეძენა და მასთან დაკავშირებით ელექტრო სადენების დამონტაჟისა და გამრიცხველიანობის ხარჯებიც, რისთვისაც გამოყენებულ იქნება შიდა რესურსიც 1 940 ლარის ოდენობით, შესაბამისად წლიური ასიგნების ზრდაა 35 000 ლარი. (იხ.დანართი).
- **ა(ა)იპ „ქობულეთის კულტურის ცენტრი"** - წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებით გათვალისწინებულია დამატებით 620 ლარის ხარჯი, რაც ერთი ერთეული შტატის (დეკლამატორი) დამატებითაა განპირობებული. წარმოდგენილი ცვლილებისათვის ა(ა)იპის მიერ წარმოდგენილია 2 830 ლარის შიდა რესურსი. შესაბამისად, წლიური ბიუჯეტის კლება შეადგენს 2 210 ლარს.
- **ა(ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „მხედრული"** - წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებით გათვალისწინებულია: 1) შრომის ანაზღაურების მუხლით დამატებით 5 ერთეული მოცეკვავის ხელფასის გათვალისწინება; 2) დამატებით დაიგეგმა აგრეთვე საცეკვაო ფორმების შეძენა (ქამარ-ხანჯლებისა და ფეხსაცმლის შეძენა. ცეკვა "ქალ-ვაჟთა" კომპლექტი (გოგონებისათვის) 20ც*280 ლ, ცეკვა "ქალ-ვაჟთა კომპლექტი (ბიჭებისათვის) 20ც*280 ლარი, განდაგანას სრული კომპლექტი ბიჭებისათვის 20 ც*300 ლარი, აზიური 20 წყვილი*70 ლარი და ქამარ-ხანჯალი 20ც*70ლარი). სატენდერო მოსაკრებლის საფასურისათვის გათვალისწინებულია 50 ლარი. წლიური ბიუჯეტის ზრდა ჯამურად შეადგენს 23550 ლარს.
- **ა(ა)იპ „ქობულეთის პარკი"** - წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებით გათვალისწინებულ იქნა დამატებით **8 000** ლარი. კერძოდ, ელექტროენერგიის ხარჯის დასაფინანსებლად დამატებით გათვალისწინებულია 7 000 ლარი, ხოლო ხე-მცენარეების შესაფუთი მასალის შესაძენად გათვალისწინებულ იქნა დამატებით 1 000 ლარი,

რისთვისაც ა(ა)იპის მიერ წარმოდგენილია 6 488 ლარის შიდა რესურსიც. წლიური ბიუჯეტის ზრდა შეადგენს 1 512 ლარს.

- **ა(ა)იპ „ქობულეთის გამწვანება"** - წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებით გათვალისწინებულია საწვავის ხარჯის ზრდა ფასთა სხვაობიდან გამომდინარე, რისთვისაც 4 980 ლარის შიდა რესურსის გამოყენებაა გათვალისწინებული და შესაბამისად ჯამური წლიური ასიგნება უცვლელია.
- **ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი"-ს** მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილება ითვალისწინებს 10 000 ლარის დამატებას. აღნიშნული ცვლილება მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის (ჰიგიენური საშუალებების ვაუჩერით მომსახურების) პროგრამის ფარგლებში ხორციელდება, რაც გაზრდილი მოთხოვნებითაა განპირობებული.

გადასახდელების ნაწილში ადგილობრივი ფინანსური რესურსებით განსახორციელებელი სხვა ღონისძიებების ცვლილებები.

- **შპს "ქობულეთის წყალი"** - წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილება ითვალისწინებს მოხამარებული ელექტროენერგიის სუბსიდირებისათვის დამატებით 389 000 ლარის მობილიზებას. ასევე 50 000 ლარი დაგეგმილია დაწესებულების არასაუწყებო დაცვის პოლიციის ხარჯების დასაფინანსებლად. წყალგაყვანილობის ქსელის შიდა სარემონტო სამუშაოების წარმოების მიზნით ძირითადი და დამხმარე მასალების შესასყიდად მუნიციპალიტეტი **შპს "ქობულეთის წყალს"** დააფინანსებს 41 000 ლარით. ორგანიზაციის გამართული მუშაობისათვის საწვავის ხარჯის გაწევის მიზნით გათვალისწინებულია 40 000 ლარი. სულ წლიური ასიგნების ზრდა 520 000 ლარს შეადგენს.
- **ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურეობა.** წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილება ითვალისწინებს აღნიშნული პროგრამის 100 000 ლარით ზრდას. საწვავის გაძვირების გამო მუნიციპალური ტრანსპორტი (ავტობუსები) საჭიროებს დამატებით ხარჯის გათვალისწინებას (იხ.დანართი).
- **მერიის ადმინისტრაციული შენობის გადახურვის სამუშაოები** დაგეგმილია 4 550 ლარით. აღნიშნული სამუშაოები უკვე გათვალისწინებულია მოქმედ ბიუჯეტში. ცვლილება განაპირობა ღონისძიების განხორციელების ფინანსური რესურსის ცვლილებამ. ნაცვლად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპეციალური ტრანსფერისა ღონისძიების ეს ნაწილი განხორციელდება ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრებით და მოხმარდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაფინანსებას.
- **ქ.ქობულეთში (კომახიძის ქ. N13, რუსთაველის ქ. N162 გ, ჯავახიშვილის მე-2 შესახვევი) სანიაღვრე და კანალიზაციის მოწყობის სამუშაოები** დაიგეგმა 33 270 ლარით.
- **სასმელი წყლის მილის შეძენა** - სოფელ ზენითში სასოფლო გზის რეაბილიტაციის გამო გზაზე გამავალი სასმელი წყლის მილის ახლით შეცვლა (45 მ და 300მმ) დაგეგმილია თანხით 12 440 ლარი.
- **წყალარინების სისტემისათვის 1 სატუმბი სადგურისათვის ტუმბოს შეძენა და** მონტაჟი გათვალისწინებულია თანხით 35 000 ლარი. როგორც ცნობილია N1 სატუმბ სადგურში მწყობრიდან გამოვიდა ძირითადი 600 კბ/სთ-ში წარმადობის ტუმბო, რომელიც აღარ ექვემდებარება აღდგენას და საჭიროებს განახლებას.
- **წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებით დაგეგმილია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ცეცხლაურის სარიტუალო დარბაზში გაზის და დენის შეყვანა (მიერთების საფასური) თანხით 1 500 ლარი.**

- **ქალაქის გაფორმებითი ღონისძიებები ითვალისწინებს 268 700 ლარით ბიუჯეტის** ზრდას. ცვლილება გულისხმობს საახალწლო განათებებითა და სათამაშოებით ქალაქის ქუჩისა და ნაძვის ხის მორთვას. ასევე გათვალისწინებულია საახალწლო ნაძვის ხის შეძენა.
- **კულტურული ღონისძიების ზრდა დაგეგმილია 214 000** ლარით. დაგეგმილია სხვადასხვა საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებული აქტივობები.
- სპორტული საკლუბო გუნდების ხელშეწყობა წარმოდგენილია 7 500 ლარის ოდენობის დამატებით, რაც დაკავშირებულია წყლის გამათბობლის მონტაჟთან ხუცუბნის რაგბის მოედანზე განთავსებულ გასახდელებში და დაანგარიშებულია გამრიცხველიანების ხარჯებიც.
- მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით **სარეზერვო ფონდი** გაიზრდება 120 000 ლარით, სხვადასხვა გაუთვალისწინებელი გარემოებების დროს მოსახლეობის დროული და ეფექტური დახმარების გაწევის მიზნით.
- **მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის ზრდა დაგეგმილია 35 000 ლარით.** როგორც ცნობილია პროგრამა ითვალისწინებს 0-დან 200 000 ქულის ჩათვლით დარეგისტრირებული ოჯახებზე მე-3, მე-4, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებისას მატერიალური დახმარების გაწევას შესაბამისად 600, 800 და 1000 ლარის ოდენობით. უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა ქვეპროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რიცხვი. ამ დროისათვის დახმარება გაეწია სულ 72 ოჯახს.
- **მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა გაიზრდება 1 000 ლარით.** დამატებით მუნიციპალიტეტს მომართა ორმა მარტოხელა მშობელმა. მათზე წლის ბოლომდე გასაცემი თანხა საჭიროებს დამატებას.
- **გარდაცვლილ ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება - როგორც ცნობილია** ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახზე ერთჯერადად 400 ლარის ოდენობით დახმარებას. დღეის მდგომარეობით ერთჯერადი დახმარება გაეწია 100 უმწეო გარდაცვლილ ოჯახს. გაზრდილი მოთხოვნიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ქვეპროგრამის ზრდა 10 000 ლარით.

სულ წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებით 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა შეადგენს **1 734 022** ლარს და ბიუჯეტი განისაზღვრა **52 582 600** ლარით.

საკრებულოს თავჯდომარემ დასვა შეკითხვა არის, თუ არა შენიშვნები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით?

ილონა ანანიძე - ა(ა)იპ „ქობულეთის მუზეუმი" -ის წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილება გულისხმობს, თუ არა მუზეუმის კიბის რეაბილიტაციას, რადგან დათვალიერების დროს კიბე იყო სავალალო მდგომარეობაში და საჭიროებს გაკეთებას. ასევე დაინტერესდა ფიქრობთ, თუ არა ფსიქოლოგის შტატის დამატებას საბავშვო ბაღში?

დავით ვერულიძე - აღნიშნული სამუშაოები ეკუთვნის კაპიტალური დანახარჯის სამუშაოებს, სამომავლოდ ვგეგმავთ სამუშაოების ჩატარებას მათ შორის კიბის რეაბილიტაციას, რაც შეეხება წარმოდგენილ ბიუჯეტის პარამეტრებს აქ ძირითადად მცირეფასიანი ხასიათის მქონე ღონისძეიებებზეა საუბარი. ხოლო ფსიქოლოგის აყვანას საბავშვო ბაღში ამ ეტაპისათვის არ არის გათვალისწინებული წარმოდგენილ ბიუჯეტში, თუმცა ბაღების ავტორიზაციის გავლის შემდეგ მსგავსი ტიპის შტატის აყვანას გულისხმობს, სამომავლოდ მოხდება გათვალისწინება.

იამზე ცალქალამანიძე დაინტერესდა იგეგმება, თუ არა დაბა ოჩხამურში ახალი ბაღის მშენებლობა და საბავშვო ბაღის თანამშრომლებზე ხელფასის მატება ?

დავით ვერულიძე - მუნიციპალტეტის მიზანია ყველა თანამშრომელს ჰქონდეს შესაბამისი ადეკვატური ანაზღაურება, სამომავლოდ იგეგმება და დიდი იმედი გვაქვს, რომ საპროგნზო მაჩვენებელი, რომელსაც ველოდებით მუნიციპალიტეტის ყველა დაქვემდებარებულ დაწესებულებებში გავზარდოთ ხელფასი.

დავით წულუკიძემ გააკეთა კომენტარი მუნიციპალიტეტის ეფექტურ და ოპერატიულად შესრულებულ მუშაობაზე, მისი თქმით კომახიძის ქუჩაზე იყო პრობლემა სანიაღვრეებთან დაკავშირებით, მან მადლობა გადაუხადა მერიის შესაბამის სამსახურს პრობლემის დროულად მოგვარებაში, რომ წარმოდგენილ ბიუჯეტში გათვალისწინებული ცვლილებები მოსახლეობის ინტერესებზეა მორგებული.

გიორგი კარალიძე - გააკეთა განცხადება სოფლის წყალთან დაკავშირებით, მისი თქმით ადგილზე ნახა სოფელ ციხისძირის წყლის სათავო ნაგებობა, რომელიც არის სავალალო მდგომარეობაში არ მუშაობს არც ქლორის აპარატი და არც ფილტრები. ის დაინტერესდა იგეგმება, თუ არა სამუშაოები და როდის მოგვარდება პრობლემა.

დავით ვერულიძე - მიმდინარე ბიუჯეტის ცვლილების ფარგლებში ა(ა)იპ ,,სოფლის წყალისთვის" გამოყოფილი თანხები არ არის, ამ ეტაპისთვის გათვალისწინებულია, მხოლოდ საწვავის თანხები ფასის მატებიდან გამომდინარე, ღონისძიებები, რომელიც ახსენეთ არის კაპიტალური შინაარსის ღონისძიება. სათავო ნაგებობასთან დაკავშირებით მიმდინარე წელს მოვახდინეთ ინვენტარიზაცია და დამატებით საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შევიძინეთ. ნაწილი მოწოდებულია ნაწილი პროცესშია. ვგეგმავთ, როგორც ციხისძირის სათავე ნაგებობების მოწესრიგებას ასევე სხვა სოფლებისაც, სადაც მსგავსი ტიპის პრობლემები არის.

საკრებულოს თავმჯდომარემ დავით მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული ბიუჯეტის ცვლილება მორგებულია მოსახლეობის ინტერესებზე. მან მადლობა გადაუხადა მომხსენებელს დეტალურად წარმოდგენილი ბუჯეტის ცვლილებისთვის და წარმატებები უსურვა.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N09 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 29

წინააღმდეგი - 1 (მ.ცინცაბაძე)

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30 წევრი.

მიღებულია დადგენილება N24

(დადგენილება თან ერთვის)

2.,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 6 ოქტომბრის №114-11422278115 მომართვა - ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი თეონა გეგიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი ეხება - ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანას, ცვლილება ეხება მხოლოდ

თანამდებობრივი სარგოს ზრდას მხოლოდ ერთი კატეგორიის ნაწილში, ეს გახლავთ მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსს სპეციალისტთან დაკავშირებით. ჩვენი მიზანი იყო ერთიან სისიტემაში მოქცეულიყო თანამდებობრივი სარგოს შრომის ანაზღაურების საკითხი. ასევე მესამე კატეგორიის მეორე და მესამე რანგი გაერთიანებულიყო ერთიან ე.წ საშკალო დანაყოფში. მოხდა თანამდებობრივი სარგოს თანხობრივი ზრდა 1210 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია ბიუჯეტში და შესაბამისად სჭირდება საკრებულოს თანხმობა.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი.

მომხრე - 30

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30 წევრი.

მიღებულია დადგენილება N25

(დადგენილება თან ერთვის)

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 6 ოქტომბრის N114-1142227859 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ - მოხსენება გააკეთდ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი თეონა გეგიძემ, რომელმაც განმარტა, რომ საქართველოს კანონის ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საჯარო დაწესებულებაში ,,საჯარო სამსახური შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5 %-ს.

საქართველოს კანონის ,,საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საჯარო დაწესებულებებში დაიშვება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

მომხსენებლის განმარტებით, მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი და საკურორტო-დასასვენებელი ინფრასტრუქტურის მოწყობის თვალსაზრისით მზარდი განვითარების ეტაპზეა. გაზრდილია მოთხოვნა, როგორც ინდივიდუალურ და მრავალბინიან საცხოვრებლების, ასევე დასასვენებელი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, სამრეწველო-საწარმო, შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურში აყვანილ იქნას სამი პირი, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები შემდეგნაირად განისაზღვრება:

1. პირველი და მეორე კლასის შენობა-ნაგებობებზე შემოსულ კორესპოდენციაზე მომუშავე პირი.
2. შემოსული დოკუმენტაციის კანონთან შესაბამისობაში დამდგენი პირი.
3. გეოინფორმაციული სისტემის სპეციალისტი. (GIS პროგრამის სპეციალისტი).

რომლის მიხედვითაც მოხდება აღნიშნული სამსახურის უფრო ეფექტურად მუშაობა, რაც დაეხმარება სამსახურს უფრო გამართულად მუშაობაში. დღეის მდგომარეობით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა 16

ერთეულს შეადგენს და 5 ერთეულზე მეტია, შესაბამისად საჭიროებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შეთანხმებას, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა გაიზარდოს 3 ერთეულით, სულ 19 ერთეულის ოდენობით. გთხოვთ საკრებულოს მხარდაჭერას 3 ერთეულით გავზარდოთ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30 წევრი.

მიღებულია განკარგულება N58

(განკარგულება თან ერთვის)

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 30 სექტემბრის N114-11422273182 მომართვა- „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე (ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი") - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცითი-ტერიტორიული მოწყობის, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ ინფრასტრუქტურის, სივრცითი-ტერიტორიული მოწყობის, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიას შესასწავლად დაეწერა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის მომართვა -„მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სამედიცინო ამბულატორიების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემისა და შემდგომში ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის" საკუთრებაში სიმბოლურ ფასად გადაცემის შესახებ". ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგმა" განახორციელა სოფლის ამბულატორიული ქსელის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის ანალიზი საქართველოს ყველა რეგიონში. სოფლის ამბულატორიის შეფასებამ აჩვენა, რომ ინფრასტრუქტურა ამორტიზირებულია, შენობების უმრავლესობა სარემონტო და მოუწესრიგებელია, რის გამოც, ვერ ხერხდება პაციენტებისათვის სათანადო სამედიცინო მომსახურების შესაბამისი სტანდარტის შეთავაზება, ხოლო სამედიცინო პერსონალისათვის სათანადო სამუშაო გარემოს შექმნა. შესაბამისად, ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი" მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება სოფლის ამბულატორიების საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის ბალანსზე გადაცემა, აღნიშნული დადებითად იმოქმედებს ,,სოფლის ექიმის" პროგრამის განხორციელებაზე. ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი" ერთიანი მიდგომით დაიწყებს მუშაობას ამბულატორიების რეაბილიტაცია/მშენებლობისათვის, რათა გაუმჯობესდეს პირველადი ჯანდაცვის მიწოდების ხარისხი. საუბარია მუნიციპალიტეტში შემავალ 10 ამბულატორიაზე, ესენია: სოფელ ჩაისუბნის, სოფელ ქობულეთის, სოფელ ქაქუთის, სოფელ ხალას, სოფელ საჩინოს, სოფელ ბობოყვათის, სოფელ კვირიკეს, სოფელ ციხისძირის, დაბა ოჩხამურის და სოფელ ხუცუბნის ამბულატორიებზე.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30 წევრი.

მიღებულია განკარგულება N59

(განკარგულება თან ერთვის)

სიტყვით გამოსვლა ითხოვა საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარემ ლაშა კომახიძემ, როგორ აღნიშნა წარმოადგენს ინიციატივას, რომ ,,მუნიციპალიტეტის მერს მივმართე წერილობით, თუმცა სასურველია საკრებულოს მხრიდანაც იყოს შუამდგომლობა, როგორც მოგეხსენებათ, ქალაქ ბათუმში მიმდინარეობს ბაზალტის ტიპის ქვაფენილების ასფალტით ჩანაცვლება, რომელიც საჩუქრად გადაეცემა ბიზნესმენ გიორგი ჭყონიას უსასყიდლოდ, რომელიც ინფრასტრუქტურულ ზონას აწყობს შატო კვირიკის გაგრძელებაზე, მისი თქმით მუნიციპალიტეტის მერმა გვიშუამდგომლოს აჭარის არ წარმოამდგენლობასთან, რომ აღნიშნული ქვაფენილები გადმოგვცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტს, რასაც გამოვიყენებთ ქალაქ ქობულეთის მესხიძისა და ჩხეიძის ქუჩებზე საფეხმავლო ბილიკების მოწყობაში. აღნიშნულით, დავზოგავთ ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს და მოსახლეობას გადავუჭრით ინფრასტრუქტურულ პრობლემას.

საკრებულოს თავმჯდომარემ მიმართა, რომ შუამდგომლობის წერილს, რაც შეეხება სრული უფლება გაქვთ ფრაქციის სახელით მიმართოთ აღმასრულებელ ორგანოს, ხოლო აღნიშნულ ქუჩებზე მომავალი წლისთვის იგეგმება ქვაფენილების მოწყობა საფეხმავლო ბილიკების.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო საკრებულოს თავმჯდომარემ

სხდომა გამოაცხადა დამთავრებულად.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი